1882 — XXXV — 1917

მ ა ვ ლ ო ბ ი ს დ ღ ე



საიუბილეო დასურათებული ალმანახი

ვ. გუნიას

პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად

გამოცემული მ. გაჩეჩილაძის მიერ ს. მგალობლიშვილის რედაქტორობით

შემოსავალი ხარჯს გარეშე გადაეცემა იუბილარის ფონდს.

ამიერ კავკასიის ბანკი

ამ მოკლე ხანში

დაიწყებს მოქმედებას ქ. თბილისში

(ლორისმელიქოვის ქუჩა, ახალი შენობა სათ, აზნ. ბანკისა № 5)

მირითადი თანხა 3·000·000 მან.

ბანკი აწარმოებს ყოველ გვარ ოპერაციებს საკომერციო ბანკებისას

მისამართი: თბილისი, ფოსტით „Закавказскій Банкъ „ტელეგრაფით "Закавказскій„.

Т-во „ТРЕУГОЛЬНИКЪ"

Тифлисское отдѣленіе

Пушкинская ул № 3, Эриванская площадь

Приводные ремни

Клапана и трупки для аппарата „Верморель"

Калоши и обувь

Автомобильныя шины

Резиновая подошва и клей

Всевозможныя резиновыя издѣлія

1882 XXXV 1917

მ ა დ ლ ო ბ ი ნ ო დ ღ ე



1296

საიუბილეო დასურათებული ალმანახი

ვ. გუნიას

პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად

გამოცემული მ. გაჩეჩილაძის მიერ ს. მგალობლიშვილის რედაქტორობით

შემოსავალი ხარჯს გარეშე გადაეცემა იუბილარის ფონდს.

საიუბილეო კომიტეტის მოწოდება ვალერიან გუნიას 35 წლის მოღვაწეობის გამო სამწერლო, სასცენო და საზოგადო ასპარეზზე

პატივცემულო მოქალაქევ!

დიადია დღევანდელი მომენტი.

რუსეთმა მტკიცე ხელით მაღლა ააფრიალა თავისუფლების დროშა და, სხვათა შორის, ზედ წააწერა: "ეროვნებათა თავისუფლება„!

საქართველო კი დიდი ხანია მწყურვალეა მისი დათრგუნვილი უფლებათა აღდგენისა.

მისი თავისუფლების დღეც ეხლა დგება

ამიტომ ყოველი ქართველი მოქალაქის მოვალეობა დიახაც გართულდა და მრავალფერი შეიქმნა.

სწორედ „ასი თვალი უნდა გამოიბას და ასი ყური გამოისხას" საზოგადოებამ თავის მოვალეობათა პირნათლად აღსასრულებლად და ამ მოვალეობათა შორის არ უნდა დაივიწყოს ისინიც, რომელთაც შეგნებულისა და თავგამოდებულის ეროვნულ-კულტურულის მუშაობით ნიადაგი მოუმზადეს დღევანდელს ჩვენს განთავისუფლების ხანას.

ერთი ასეთი პიროვნებათაგანი—დაუცხრომელი მებრძოლი და კულტურული მოღვაწე არის

ვალერიან ლევანისძე გუნია

იგი ერთი დედა-ბოძთაგანია ქართულის თეატრისა, მოურიდებელი და პირუთვნელი ჟურნალისტი, ფაფარ დაუდრეკელი საზოგადო მოღვაწე.

დიდია და მრავალგვარი ვალერიან გუნიას ღვაწლი სამშობლოს წინაშე:

იგი თუ ერთის ხელით საჭირო და დროზედ მოსწრებულ პიესებსა სწერს, მეორეს ხელით სახალხო ყველასათვის ხელმისაწვდომ გამოცემებს უძღვება; თუ სცენაზედ რთულსა და პასუხსაგებ როლებს ასრულებს, იმავე დროს საზოგადო ასპარეზზედ უშიშრად გამოდის ყველა იმ მოვლენათა მამხილებლად და განსასჯელად, რომელნიც მას თავის ქვეყნისათვის საზიანოდ და მავნებლად მიაჩნია.

რეჟისორი და საერთო ხელმძღვანელი თეატრის საქმეთა, მომწყობი და გამგე საეროვნო დღეასწაულებისა და ზეიმებისა, გამომცემელი და რედაქტორი სხვადასხვა სახალხო ჟურნალ-გაზეთებისა, იგი მოუცლელი და ყრუა პირადი დღეგრძელობისა და ბედნიერებისათვის.

ყოველივე რაც კი მის მდიდარ სულსა და გულს გააჩნია, რაც კი მის ძალღონისა და დაუშრეტელ მხნეობის ნაშრომია, რაც კი მის თავდავიწყებულ გარჯისა და მადლიანი ღვაწლის ნაყოფია,—ყოველივე ეს ოცდახუთმეტის წლის განმავლობაში დაუზარებლად მოაქვს ძღვნად და ზვარაკად საზოგადო სამ. სხვერპლოზე თავის დაჩაგრულის ქვეყნის და უფლება აყრილ ერის ნუგეშსაცემლად, გასამხნევებლად და ასაღორძინებლად.

და, რაღა თქმა უნდა, მადლიერი სამშობლო სწორედ დღეს,—მისი ქვეყნის განთავისუფლების განთიადზე, როდესაც, სამწუხაროდ, თვითონ ჩვენი თავგანწირული მოჭირნახულე უკვე ჯანგატეხილი და დასუსტებულია,—სამაგიეროს გადახდას უპირებს.

ზარშან საზოგადოებამ და მწერლობამ ერთხმად გადაწყვიტა ვალერიან გუნიას სამადლობელო დღე შესაფერის პატივისცემით და ზეიმით ედღესასწაულნა.

ეხლა ეს ზეიმი და დღესასწაული დანიშნულია ქ. ტფილისში შაბათს, 29 აპრილს დილის თორმეტ საათზედ სახემწიფო თეატრში.

მაგრამ მარტო საზეიმო შეკრება და დღესასწაული არ კმარა ჯილდოდ ფასდაუდებელი მოღვაწისათვის.

ზეიმის მომწყობს კომიტეტს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და ქართველ მსახიობთა კორპორაციას აზრად აქვთ, თუ კი ქართველობა ხელს შეუწყობს, თავის დაუძლურებულს მოღვაწე—მოამაგეს თავშესაფარად და საცხოვრებლად მიართვას ქ. ტფილისში სახლკარი, რისთვისაც ამ თავითვე უნდა შესდგეს საჭირო და შესაფერი თანხა სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთა ნება ყოფლობითის წვლილისაგან

გაცნობებთ რა ყოველივე ამას, პატივისცემით მოგიწოდებთ თქვენდა შესაფერი მონაწილეობა მიიღოთ ამ ჩვენს საერთო ეროვნულ-კულტურულს დღესასწაულში.

წერილები, დეპეშები, მოლოცვები, ფული და შემოწირულებანი უნდა გამოიგზავნოს ქვემოდ აღნიშნულის მისამართით.

დღესასწაულის და ზეინის მომწყობნი:

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა
საზეიმო პატივცემის მომწყობი კომიტეტი
ქართველ მსახიობთა კორპორაცია

თავმდჯომარე ი. ბარათაშვილი

მდივანი შალვა დადიანი

მისამართი:

პირადად: სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა, ქართ. დრამ. საზოგად. კანტორა, დილის 11—2 ს.
წერილებისთვის: Тифлисъ, почтовый ящикъ № 38, Турашвили Абраму Ильичу
დეპეშებისათვის: Тифлисъ, Грузинскій театръ.

„ალმანახის“ რედაქცია საგან.

ბევრს მწერლებს და მოღვაწეებს მივმართეთ, ვსთხოვდით დროზედ მოეჯოდებინათ „ალმანახისათვის“ თვისი კალმის ნამოქმედარი ძვირფასი იუბილიარის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ. სამწუხაროდ, ძრიელ მცირე რიცხვი გამოგვეხმაურა, ამიტომ „ალმანახი“ ისე სრული და იმ ზომ ს არ არის, როგორც განზრახული გვქონდა. მასალების მოუწოდებლობას ჩვენა ვხსნით არა უყურადღებობით იუბილიარისადმი, არამედ იმ განსაკუთრებულის სულიერის განცდით, რაიც გამოიწვია დღევანდელმა რევოლიუციამ, რომელიც ასე ანაზდეულად ესტუმრა რუსეთსა, დაანგრია ძველი რეჟიმისაგან ახუხულავებული წესწყობილება და ახალის, მტკიცე შენობის აგებას შეუდგა. ჩვენს სამშობლოსაც გულს იმედი დაესახა. ბევრჯელ დაგვსახია გულის იმედი, მაგრამ ამაოდ ჩაუვლია. ახალმა ძალუმმა ხმამ, როგორც იერიქნოს საყვირმა დანგრია ძველი რეჟიმი. ამ ამ ბავმა ყველას თავბრუ დაასხა,ყველა ეს უცნაურობა სიზმრად მოეჩვენა ხალხს, ყველა ანგარიშს უწევს დღევანდელს მომენტს, ყველა ირაზება განსამტკიცებლად ახალ მთავრობისა, ყოველივე სხვა მოვლენანი ჩვენის ცხოვრებისა დაჩრდილა აწინდელმა რევოლიუციამ. სწორედ ამიტომ ყველა ჩვენი მწერლები და მოღვაწენი ვერ გამოგვეხმაურენ ჩვენს მოწოდებაზე, რადგან ახალს საქმეში ჩაებენ. იმედია მკითხველი საზოგადოება არ დაგვემდურება თუ „ალმანახი“ ცოტა მკრთალი გამოვიდა, არა ისეთი, როგორც ჩვენა გვქონდა განზრახული.

ჩვენი ვალიკო

ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, როდესაც სუმბათაშვილთან (იუჟინთან) შემიხვდა მისვლა მოსკოვში.

ყოველ ოთახში, ყოველ ნაბიჯზე სიმდიდრე, ფუფუნება! ადამიანს ჰქონია გემოვნება და ჰქონია საშუალებაც რომ ეს გემოვნება დაეკმაყოფილებია. სადაც კი მიიხედავთ, კომფორტი.

ადამიანს ჰქონია წყურვილი მშვენიერებისა და ჰქონია მასთან საღსარიც, რომ ეს წყურვილი სრულიად, უნაკლულოდ მოეკლა. სადაც კი მიიხედავთ, ძვირფასი ქანდაკება, ძვირფასი და ლამაზი მოწყობილობა.

ბუნებას მიუცია ნიჭი, დაჯეკი და იმუშავე—ყოველივე ხელს გიწყობს მუშაობისათვის...

სუმბათაშვილიც მუშაობდა და მუშაობს მხნედ, ნაყოფიერად. ის ნიჭიერი მსახიობია, ნიჭიერი მწერალი, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ ილიას სიტყვები მაგონდება:

შენი რაა, რომ ამშვენებ
შენს დამლუპველ ოსმალეთსა?..

რუსეთმა მისცა სუმბათაშვილს საუკეთესო პირობები მუშაობისა და ნიჭის გაშლისათვის. სუმბათაშვილმაც რუსეთს შესწირა თვისი ნიჭიც, თვისი შრომაც.

კი, მართალია, ნიჭის ნაყოფი საერთაშორისოა, საკაცობრიო, მაგრამ სუმბათაშვილის ნიჭი მაინც უფრო რუსეთს ამშვენებს ვიდრე იმის საქართველოს. საქართველო ვერ მისცემდა სუმბათაშვილს მას, რაც რუსეთმა მისცა. საჭირო, აუცილებელი იყო მსხვერპლი. სუმბათაშვილს უყვარს საქართველო ძლიერის, ღრმა გრძნობით; ამ სიყვარულმა დაწერია მას „ღალიტი“, მაგრამ მსხვერპლის გამოღება მაინც ვერ შესძლო.

მე ამისთვის არა ვიცხავ მას. დიდი ნიჭი ხომ დიდი გმირიც არ უნდა იყოს მაინცა და მაინც!

განვლო დროს. თან წარიტაცა ჩემი სიყმაწვილეც.

დღეს მე წილად მხვდა ჩვენ საკუთარ სუმბათაშვილთან, ჩვენს გუნიასთან, ჩვენს ვალიკოსთან სიარული. სიმდიდრეს, ფუფუნებას აქ შორიახლოსაც კი არ გაუელია.

ადამიანს ჰქონია და აქვს გემოვნება, მაგრამ არა აქვს საშუალება, რომ ეს გემოვნება დაეკმაყოფილებია.

ადამიანს ჰქონია და აქვს ძლიერი წყურვილი მშვენიერებისა, მაგრამ არასოდეს არა ჰქონია საღსარი, რომ ეს წყურვილი ცოტათი მმინც დაეკმაყოფილებია.

ბუნებამ მისცა ვალიკოს ნიჭი, მაგრამ პატარამ, დაჩაგრულმა, ხელფეხ შებორკილმა სამშობლომ მას ვერაფერი ვერ მისცა.

საჭირო იყო აუცილებელი მსხვერპლი.

ვალიკომაც შესძლო ამ მსხვერპლის გამოღება და მთელი თვისი ნიჭი, თვისი დაუშრეტელი ენერგია სამშობლოს ანაცვალა.

აბრამმა შესძლო და თვისი ერთად ერთი შვილი ღვთისათვის სამსხვერპლოდ გაიმეტა.

ვალიკომ შესძლო და თვისი ცოლი, თვისი შვილები, რომლებსაც დღეს ყოველისფერი აკლიათ, თვისი საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა სამშობლოს სახელსა და დიდებას.

შესძლო იმიტომ, რომ დიდ ნიჭთან ერთათ ის არის დიდი გმირი და აქვს მას დიდი გული შეუპოვარი მოქალაქისა. დიდი მსხვერპლის გამოღებას რომ შეეშინებია ვალიკო და მორიდებოდა, განშორებოდა სამშობლო კერას, თვისის ნიჭით, თვისის ენერგიით გაიკაფავდა გზას და სხვაგან სხვასავით მოიპოვდა იმ პირობებს, იმ კომფორტს, რომელიც ფრიად საჭიროა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

კერძოთ მისთვის, მისი ნიჭისათვისაც გაცლა იყო საჭირო; მხოლოდ მისი სამშობლოსათვის კი დარჩენა.

ვალიკოც დარჩა.

და მიუხედავათ იმისა, როშ სამშობლომ მას ვერ მისცა ვერაფერი, ვალიკოს ნიჭი მაინც გაიშალა და იმისმა შრომამ დიდი ნაყოფიც გამოიღო.

დინჯი, დაკვირვებული, ნიჭიერი მსახიობი, მსახიობი-ინტელიგენტი—აი ვალიკო სცენაზედ.

მსახიობი ადამიანი, რომელშიაც შური და მტრობა არ არის,—აი ვალიკო. ბევრჯერ მომხდარა,—ნიჭიერ მსახიობს არ უყვარს ნიჭიერი ამხანაგი, ზურგს უკან ჰკიცხავს, ამცირებს მას.

ვალიკო კერძო ლაპარაკში მხოლოდ თავის თავს ამცირებს, სხვების ღირსებას კი არ მალავს. პირიქით ის აღტაცებული მოგიყვებათ: აი ამას ეტყობა ნიჭი, აი ეს გაგრძნობინებთ ნამდვილ განცდას, მე არაფერი ვარ მათთან შედარებითო.

1898 წ.

ვალიკო დრამატურგი —ეს ბომ ბურჯია ჩვენის თეატრისა, დაუშრეტელი წყარო ჩვენის რეპერტუარისა. აქ ვალიკოს ტოლი არა ჰყავს: მისი შრომა ამ მხრივ გასაოცარია და დაუფასებელი.

ვალიკომ მიიღო თეატრი მეტათ ღარიბი რეპერტუარით და თვისი დაუშრეტელი ენერგიით, შრომით და თეატრისადმი უზომო სიყვარულით შექმნა რეპერტუარი. ვალიკომ შეაყვარა მდაბიო ხალხს სცენა, და მისი პიესები დღესაც ამშვენებენ ჩვენს სცენას და ჯერ კიდევ დიდხანს მიიზიდავენ მდაბიო ხალხს.

ვალიკომ ნიადაგი გაუმაგრა ოპერას ჩვენს სცენაზე და აქაც დიდი ნიჭი გამოიჩინა. თუმცა თითონ მოკლებული იყო სპეციალურ მუსიკალურ განათლებას, მაგრამ მცოდნე პირნი პირდაპირ განცვიფრებულნი არიან „სევილიელი დალაქის“ და „კარმენის“ თარგმნით.

ღირსეული მოქალაქე, მებრძოლი დემოკრატი, პირდაპირი და მოურიდებელი, პირში მთქმელი, რომელიც დაუძინებელი მტერია ყოველგარი სსვასთან სხვისი – ჩემთან ჩემობისა—აი ვალიკო.

მას სწამს კლასები და კლასთა ბრძოლის დიდი მნიშვნელობა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ეკლესია, სკოლა, თეატრი და საზოგადოდ ხელოვნება საერთოა და აქ პარტიული ბრძოლისა და კინკლაობის შეტანისა დიდი წინააღმდეგია.

საქართველოს ავტონომია,—აი რას ეტრფის ვალიკო! ის დარწმუნებლია, რომ მთელი ქართველი დემოკრატია ადრე თუ გვიან შეგნებულათ გასწევს ამ მიზნისაკენ. და ვერავითარი ძალა, გარეშე თუ შინაური დაბრკოლება, ვერ შეუშლის ხელს საქართველოს შელახულ უფლების აღდგენას...

დღესდღეობით?

დღეს საჭიროა დიდი, თავგამოდებული კულტურული მუშაობა ყველა დარგში; ქართველ ხალხს საკუთარ თავის იმედი უნდა ჰქონდეს,—აი ვალიკოს ღრმა რწმენა.

ავადმყოფი, სარეცელზე მიკრული ის მაინც მოქმედებაზე, ბრძოლაზე ოცნებობს.

საკუთარს თავზე, თავის ავადმყოფობაზე ვალიკო სულ ცოტას ლაპარაკობს! ის იმდენად გატაცებულია ბრძოლის, მოქმედების წყურვილით, რომ საკუთარი თავი ხშირად ავიწყდება.

საყვარელია, სათაყვანებელი ასეთი პიროვნება.

თვისი დიდი ნიჭი, დიდი ენერგია მან სრულიად მოანდომა საქვეყნო საქმეს,—თავისათვის, პირადი კეთილდღეობისათვის არაფერი გაიმეტა.

მადლიერმა სამშობლომ დიდიხანია, შეიყვარა ვალიკო. მომავალი კიდევ უფრო გაზრდის ამ სიყვარულს.

ვალიკომ სრულიად მოიხადა თვისი ვალი საზოგადოების წინაშე.

მე მრწამს, რომ ჩვენი საზოგადოება და დაწესებულებანიც სრულიად მოიხდიან თავის ვალს ამ იშვიათი ადამიანის წინაშე. (თეატ. და ცხოვრ.“ № 42 1916 წ).

ივ. გომართელი.

ვალერიან გუნია—როგორც სიმბოლო.

ვალერიან გუნია!

ვინ არის ივი?

ქართველების ცხოვრებაში ივი სიმბოლო!

განხორციელებული ენერგია, მხნე, ჯანსაღი, დაუღალავი, გულწრფელი, უანგარო და მომთმენი!

ვ. გუნია—საჭურჭლეა, რომელშიაც ჩვენი ცხოვრების ყველა მწვავე საკითხები მოთავსებულია.

ვ. გუნია—ზღვაა, რომელიც ქართულ ცხოვრების ქარიშხალით აღელვებული მუდამ მოუსვენარი, შფოთავს და ღელავს.

ვ. გუნია საქართველოს „ისრაელია მდინარესა ზედა ბაბილონისა“ წრფელის ცრემლით მუდამ მტირალი.

ვ. გუნია—ციხის დარაჯია!

ვ. გუნია—საკურთხეველის ქურუმია, საიდანაც ერეკება კათაკმეველთ.

ვ. გუნია—ვინ არის ივი?

ვ. გუნია—არტისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, ლიტერატორი, ჟურნალისტი, რედაქტორი, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი!!

ვ. გუნია—ამხანაგი, მოქეიფე, ორატორი, ტოლუმ ბაში!!

ვ. გუნია უნდა გერქვას, რომ ყველა ამ თვისებათა მეუფე და მფლობელა იყო.

ვ. გუნია უნდა იყო, რომ გქონდეს კლდე-სული, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ დასცემს და გქონდეს ფოლადი გული, რომელიც არც ისე ადვილად ტყდება.

პატივცემულმა ივანე გომართელმა ვალერიან გუნია ა. სუმბათაშვილს შეადარა.

მართალია, ბევრია მათში საერთო, მაგრამ უფრო მეტია განსხვავებაც.

ა. იუჟინი შექმნა ცხოვრების პირობებმა, ვ. გუნია კი თითონვე სჭედდა ამ ცხოვრების პირობებს და გახდა ის, რაც არის.

ა. იუჟინს ცხოვრების გზაზე დაფენილი ვარდ ყვავილები და დაფნის გვირგვინები უფრო შორს და შორს იტყუილებდა.

ვ. გუნია კი ამ გზაზე გადახლართულ ეკალსა და ყორეს საკუთარის კბილებითა და ფჩხილებით ჰგლეჯდა და გადმონადენ სისხლს აიაზმად აპკურებდა თავის სამშობლოს.

ა იუჟინი ქართველებისათვის სიზმარია, ოცნებაა.

ვ. გუნია კი—ცხადი, სინამდვილე.

ა. იუჟინი ჩვენთვის სახელია, უბრალო სიტყვა.

დვორნიკი—ვ. გუნია „გადაჭრილი მუხა“.

ვ. გუნია კი—ძეგლია ხელოთუქმნელი, სამარადისო, რომელსაც ვერავითარი ნაღმი ვერ დაანგრევს.

იუჟინი და გუნია—
პუშკინი და აკაკი,
გეტე და ილია!..

ა. იუჟინი ზოგიერთებისთვის შეიძლება გვირგვინიც იყოს,—

ვ. გუნია კი ამ გვირგვინის საუკეთესო თვალია.

ა. იუჟინი ბედნიერი გამონაკლისია, შურის აღმძვრელი,—

ვ. გუნია—ყველა ქართველის გულში პატრიოტულ გრძნობის აღმზრდელი.

ა. იუჟინი —ხელოვნების სიმბოლოა,—

ვ. გუნია—ქართველ მოღვაწისათვის ათი მცნება.

ინდივიდუალური და საზოგადოებრივი,—
საკაცობრიო და პატრიოტული!
სწორედ ასეთები სჭირდება ჩვენს ქვეყანას!

ვ. გუნიას რომ სხვებისათვის მიებაძნა და საკუთარი კეთილდღეობისათვის უცხოელებს შეჰკედლებოდა, შეიძლება სხვებისთვის იუჟინზე უკეთესი ყოფილიყო!

მაგრამ იგი ასე არ მსჯელობდა:
სხვაგან ლხინს—შინ ჭირი არჩია!
სხვის გაშლილ სუფრას—შინ შიმშილი ამჯობინა!

სამშობლომ მისცა მას სიცოცხლე,—მასვე უბრუნებს მადლობით!

ეს არის მოვალეობა ყველა მოქალაქისა და ვ. გუნიას კარგათ ჰქონდა იგი შეგნებული.

ვაშა ვ. გუნიას!

ნეტარება მას, ვისაც ეს მოვალეობა საკსებით შეგნებული აქვს და საზოგადოებრივს პირადულზე არ გასცვლის!

ვ. გუნიამ სამშობლოს წინაშე თავისი ვალი პირნათლად შეასრულა, რაც მიიღო—ათკეც დაუბრუნა! იგი ეხლა ოლიმპის სიმაღლეზე სდგას ყელმოღერებული, ამაყად სდგას და გვეუბნება: „ასე წადი, ასე იარეო“!

ქართველი საზოგადოებაც მას დღეს მადლობას უხდის.

თუ ჩვენ, მის ამხანაგებს გვსურს მადლობა გადაუხადოთ ჩვენს მასწავლებელს—მივყვეთ მის მაგალითს!!

ვალ. შალიკაშვილი.

შაჰაბასი—ვ. გუნია „სამშობლო“.

1891 წ. 1878 წ. 1894 წ.

გუნია სცენაზე

(პატარა ნაკვთი)

ფარდა აიხდება.

თქვენ წინ დგას ბრგე მოყვანილობის ვაჟკაცი. სწორი და სუფთა, ფართო და დარბაისლურ სახეზე მუდამ აზროვნებაა აღბეჭდილი.

აცვია მას „ოთარბეგის“ ჯავშანი, თუ „ოტელოს“ ხალათი, ჩვენებური ჩოხა, თუ ევროპიული ფრაკი, მაინც ამ ნაკვთში პირველიდანვე ძალასა გრძნობთ.

ეს არ არის ლერწამი, რომელსაც ხელოვნების ტკბილი სიო კეკლუცად მიმოარხევს.

არც ის ჯადოსნური ბურთია, რომელიც ხელოვნებისავე მძლე ხელით ხან ირაოს მინავარდობს, ხან მიწას ახტება, ხან კიდევ სხარტად ხელიდან ხელში გადადის.

ეს უფრო მყარი ქანდაკებაა, რომელიც გნებავთ იმ კეთილშობილი ლითონისა.

იგი ჩვენთან არის, ჩვენს დედამიწაზე ფეხი მტკიცედ უდგას. იგი არ ირყევა.

აბა შეხედეთ მის ზურგს!—გოლიათისაა.

ამას ატყობთ მაშინვე და უკვე ენდობით. ამ ზურგთან ამოფარებულს არ გაგიჭირდებათ: ხელოვნების ცუდი ქარი არ მოგხვდებათ, არც ხრამში გადაიჩეხებით.

მაგრამ აი დაილაპარაკა ამ გოლიათმა:

თითქო ხავერდოვან, ხასხასა მოლის სარეცელზე მოხვდით.

და თავს ზემოთ ლურჯს, მოკრიალებულს ცას შეცქერით, ქართულ ცას.

იხვევა ამ საარაკო ხმის უცხო რკალები თქვენს გარშემო და თქვენი გრძნობაც მიუყვება მათ ნელად სრბოლას.

გამოცდილი და გონიერი, შინაარსიანი ბგერა უკვე მოგითხრობთ ხან ცხოვრების სიდუხჭირეს, ხან მის სიკეთესა.

თქვენც ნდობით უგდებთ მას ყურს, აძლევთ სადავეს თქვენი გრძნობისა და გონებისას უკვე დაპყრობილი ხართ

ხელოვანი დამპყრობელი უნდა იყოს.

გუნია დამპყრობელი მსახიობია.

—

სხვაგან, ვალ. გუნიასთანა მსახიობზე მთელს გამოკვლევას დახწერდნენ, ჩვენში კი, სამწუხაროდ, არაფერი ამის გვარი არ არსებობს. არც მე ვკისრულობ ასეთ შრომას, მხოლოდ რასაც ვგრძნობ, მისი საჯაროთ გაცხადება სამართლიანად მიმაჩნია.

როგორც მსახიობი გუნია არამც თუ გამოკვლეული, არამედ ღირსეულად დაფასებულიც არ არის დღემდე.

სამწუხარო არ არის? კაცმა 3ა წელიწადი იმოღვაწა სცენაზე და დღესაც კარგათ არ ვიცით როგორი მსახიობი იყო!

ჩემის ფიქრით უნებლიე დანაშაული, ამ დაუფასებლობაში, თვით საყვარელ ვალიკოსაც მიუძღვის.

პედმა მას მრავალმხრივი მოღვაწეობა არგუნა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში და ამ მრავალფერობამ, შეიძლება, დამფასებელთა თვალში გუნია—მსახიობი დაჩრდილა.

ხელოვნება დიდი ეგოისტი მოტრფიალეა. სულ მთლივ უნდა ადამიანის არსება შეიწიროს და ვინც ამას ვერ მოახერხებს, საქმე საჭოჭმანო ხდება.

გულახდით და პირდაპირ უნდა ითქვას, როდესაც ჩვენი სცენის მაღალნიჭიერ ქურუმებზე საუბრობენ, მწერლობაში და ისე კერძოთ, გუნიას არც თუ ისე ხშირად მოიხსენებენ ხოლმე.

— ოო, გუნიაო დიდი პიროვნებაა და სხვა...

1888 წ.

1915 წ.

მსახიობი? სპეციალად მსახიობი დაჩრდილულია.

მერე განა ეს სამართლიანია?

განა გუნია არ არის მაღალნიჭიერი მსახიობი? მრავალმხრივი და მძლავრი ინდივიდი სცენაზე?

მიუხედავად მისა, რომ მან ამ ხელოვნებისათვისვე სხვა დარგს ცხოვრებისასაც ემსახურა, ამითი მასში დიდი მსახიობი არ მომკვდარა.

ჩემის ფიქრით, საზოგადოთ, მსახიობები ორ უმთავრეს კატეგორიათ განიყოფებიან: ერთნი არიან იმიტაციის ნიჭით აღჭურვილნი, მეორენი არიან სასცენო ტრიბუნნი.

ძნელი სათქმელია რომელი სჯობია? საქმე ნიჭის დიაპაზონშია. უნიჭოდ კი შეიძლება პირველი ჯგუფისა უბრალო იმიტატორობას. ე. ო, წაბაძვას, უბრალო გამოჯავრებას თავის დღეში ვერ გასცილდეს და გაამართლოს მაქს ნორდაუს მწვავე პარადოქსი, რომ მსახიობობა მაიმუნობაა. მეორე ჯგუფისაც შეიძლება მხოლოდ მშრალი მომხსენებელი გამოდგეს საკაცობრიო ჰეშმარიტებათა, ამისთანა მსახიობს შეიძლება არჩიოთ ვინმე ხელოვანი ლექტორი.

აქ ორივეგან ფონი გასავალს ახრჩობს.

—

ხელოვნება, ხელოვანი იკარგება.

მაგრამ თუ ნიჭი მძლავრია, მაშინ ორივ ჯგუფისანი მიუცილებელი მშვენებანი ხდებიან სასცენო ხელოვნებისა.

ჩემის ფიქრით მეორე ჯგუფის მსახიობთ ეკუთვნის გუნია.

აქ არის ერთი კიდევ დეტალი: პირველი ჯგუფისა უფრო თვალში მოსახვედრია, უფრო უეცრად აიყოლიებს გულუბრყვო მაყურებელს და მსვენელს მეორე ჯგუფისას კი მეტი ჩაკვირვება უნდა, გრძნობასთან გონების ამოძრავებაც საჭიროა, თორემ შეიძლება დაფასება ცალმხრივი გამოგვიდეთ.

ბოლო ხანებში ევროპისა და რუსეთის სცენამ უფრო ესეთი ტრიბუნები მოგვცა. სხვადასხვა თვალთმაქცობა სცენაზე, პათოსი, ყალბი პოზები და სხვები დიდი ხანია უკუგდებულ იქმნა.

დამკვიდრდა უბრალოება. და უბრალოების გადმოცემა კიდევ უფრო ძნელი გახდა; მეტი ნიჭი, მეტი უნარი უნდა ესეთ მსახიობობას და მისი უცებური გაგებაც მაყურებლისაგან უკვე ერთგვარ მომზადების მომთხოვნი შეიქმნა.

მაგრამ სხვაგან აუდიტორიაც უფრო მახვილი გახდა. ჩვენში კი... ჩვენში .. დღეს მაინც ისე ჩამოქვეითდა მაყურებლის გემოვნება, რომ რაც უნდა დაუდგათ და ვინც უნდა აასრულოს, მაინც ხალისით მოდის... მაშ სამწუხაროდ, ჩვენს აუდიტორიაზე დღეს-დღეობით ლაპარაკი ზედმეტიც არის და რაღა გასაკვირია, თუ გუნიასთანა მსახიობი ამ აუდიტორიისთვის იმდენათ გასაგები არც იყოს.

სამაგიეროთ ჩვენს ახალს რეჟისორებს, ვიცით ფაქტები, რომ როგორც მსახიობთან, გუნიასთან მუშაობა ახარებდათ. ის სულით ევროპიელი მსახიობი იყო. მან მუდამ ზედმიწევნით იცოდა ასასრულებელ პიესის სასცენო ფაქტები. ეს ვინც სცენას იცნობს უმთავრესია. ამის შემდეგ როლი უკვე დაძლეულია. განსახიერებაში კი ის უახლოვდებოდა იმ ტიპს, რომელთაც უბრალოება გააბატონეს სცენაზე.

ამ მხრივ გუნია შეიძლება პიონერიც იყოს ჩვენში

და ამიტომ მისი როლი ჩვენს სცენაზედ მეტად მაღლდება.

ახალგაზდობას შეუძლია ბევრში არ დაეთანხმოს ქირნახულ სასცენო მოღვაწეს, მაგრამ მისი პრინციპი ევროპიულ შრომის მოყვარეობისა, სცენაზე ინტელიგენტურ სულის გაბატონებისა, როლების აღსრულებაში უბრალოების და ბუნებრივობის დაცვისა კი მუდამ მისაბაძი და სამაგალითო იქნება,

და უნდა გაიხაროს დღეს მისმა გულმა, რომ ამ მხრივ მისი მოღვაწეობა მართალი იყო და ამ ხაზს მოქმედებისას ჩვენს სცენაზე მომავალში მეტი გაღრმავება და დამუშავება მოელის.

ჩემის ფიქრით მისთვის ეს საუკეთესო ზნეობრივი ჯილდოა.

შალვა დადიანი.

პეტრონიუს—ვ. გუნია ,,ვიდრე ხვალ უფალო''.

ავტორი და მსახიობი

ვალ. გუნიამ გადმომცა ამ ორი წლის წინედ მიღებული წერილი ჩვენის ცნობილის დრამატურგის ნიკო შიუკაშვილისა. წერილი საინტერესოა როგორც ნიმუში კრიტიკისა, რომელშიაც პიესის ავტორი „არეცენზიებს" მსახიობის თამაშს.

ს. მგალობლიშვილი

ძვირფასო ბ. ვალერიან!

იმ ღამეს ვერ მოვახერხე გადმომეცა ჩემი შთაბეჭდილება ,,მეგობრობის" შესახებ და სურვილი კი ისეთი ძლიერი და ბუნებრივი იყო, რომ მინდა გასავალი მივცე ამ მოკლე წერილით...

რაც იმ ღამეს ვნახე - ჩემს მოლოდინს გადააჭარბა: თქვენ პირდაპირ მშვენიერი იყავით! ნახეთ ერთხელ თბილისში და, უნდა გამოგიტყდეთ, აჩრდილიც კი არ იყავით ამ უკანასკნელი სურათ-ხატებისა!.. რა გუნებაზედ იყავით იმ საღამოს—არ ვიცი, მაგრამ უკეთეს ვერც კი მოისურვებს ადამიანი!..

პირველი მოქმედებას თავიდგან უფერულობა ეტყობოდა (вяло), მაგრამ ბოლოს გამოსწორდა. მეორე და უკანასკნელი მოქმედება მშვენიერი იყო, რამდენადაც ეს თქვენზედ იყო დამოკიდებული. სცენა წერილის შემდეგ—ელიკო რომ წავა—თამართან საუცხოვო იყო: პირველად ვნახე თქვენი „გავარვარება"! როდესაც სარდიონი თქვენს ბღლარძუნს შემოესწრება და თქვენ გაფითრებული უაზროდ შეჰყვირებთ—„რა?... ჰო!.. "—საუცხოვო იყო!... ვაშა!..

გმადლობთ უკანასკნელი მოქმედებისთვის: აქ ძალიან ადვილია სანტიმეტალობის შეტანა, რაც მე მძულდა. იმ საღამოს ამაცდინეთ ეს ხიფათი: არჩილი, დეე, დასნეულებული იყოს, მოწყურებული ოჯახში დაბრუნებას, მაგრამ არც სიტყვით, არც ხმის მოდულაციით, არც სახით არ უნდა გამოხატოს **სანტიმეტალური საბრალლობა**: „მე არ მოვსულვარ სინანული გიძღვნა და ბოდიში მოვითხოვო"... არჩილი თითქმის თავის უფლებად სთვლის ოჯახში დაბრუნებას, - ამას ამყარებს თავის მოთხოვნილებას და იმედს და არა თავისი საცოდაობით გამოწვეულს შებრალებას. წყლით ის მხოლოდ **ფიზიკურ** სისუსტეს იქარვებს და არც ერთი კვნესა, არაფერი ისეთი რაც კი სიბრალულს და სანტიმენტალობას წაიგავს, არ უნდა იკისროს არჩილმა'.. თქვენ ასეც გეჭირათ თავი და სწორედ ამისთვისა გმადლობთ!..

ინსამბლი, თქვენც იცით, რომ სუსტი იყო: რამდენიმე ალაგას მეგონა საზოგადოებას სიცილი აუტყდებოდა მეთქი, მაგრამ თუ ეს არ მოხდა, უნდა დავუმადლოთ თქვენგნით შექმნილს ძლიერს დრამატიულს განცდას.

რაღა გავაჭიანურო,—კარგი იყავით! იყავით ეგრე კარგი ყველგან და ყველაფერში!..

თქვენი **ნ. შიუკაშვილი.**



1915 წ. 1890 წ. 1907 წ.

ვალერიან გუნია—მფარველი ქართულ ლიტერატურისა

(მოგონება).

1885 წელს პირველად ჩამომიყვანეს თბილისში და ხუთმეტი წლის ბიჭი მმამბარეს ვარინკა ბაგინოვის ასულთან. განგებას იშვიათად ეუთვლი ისეთს მადლობას, როგორც იმ შემთხვევისთვის, რომელმაც დამაბინავა სწორეთ ამ ოჯახში!..

ვარინკა ბაგინოვი, ტომით სოაეხი, ახალგაზრდა გა-

ლენერალი ჯანრიხაძე—ვ. გუნია („აღლუმი").

რატობორცევი—ვ. გუნია („ახალი ცხოვრება").

სათხოვარი ქალი თავის შრომით (ბებიობით) ირჩენდა თავს და საოცარია, რომ სწორედ ამ ქალის ბინა გადაიქცა ახალგაზრდა ქალთა და კაცთა სწავლა-განათლების აუდიტორიად! არც იქამდის და არც შემდეგ არ შეეხვედრილვარ ასეთს მშვენიერს, ახალგაზრდობით გატაცებულს კრებულს! ეს იყო რაღაც თავისუფალი უნივერსიტეტი, სადაც ახალგაზრდობა ეწაფებოდა ცოდნას, თვითგანვითარების წყაროს. პროგრამა შეუმუშავებელი, მაგრამ ენციკლოპედიური. იყო მეცნიერების სხვა და სხვა დარგი, პოლიტიკა, ხელოვნება, ფრანგული ენა... ამ ახალგაზრდობიდგან მახსოვან ელენე ანტონოესკისა, ივ. მაპავარიანი, კ. ასათიანი და სხვა ახალგაზდები. სულ ქართველები. ამ ოჯახის კარგი ნაცნობი იყო აგრეთვე განსვენებული მსახიობი ბაბო ავალიშვილისა.

მათ შორის მე პატარა ბიჭი ვიყავ, შემთხვევით შეხიზნული მოწაფე, მაგრამ ტუჩი არ ამიწიეს და თავის წრეში მიმიღეს, თითქმის როგორც სწორი. ვკითხულობდით ერთად, ვმსჯელობდით ხმის ამოხრინწვამდის და ხშირად ვცელქობდით კიდეც, როგორც ბავშვები.

აი ამ ვ. ბაგინოვის სახლში შეეხვედი პირველად და გავიცან ვალერიან გუნია—21—22 წლის სხარტი ყმაწვილი კაცი...

კონსტანტინე ბატონიშვილი -ვ. გუნია. („ქეთევან წამებული").

ვ. გუნიამ თითქმის პირდაპირ ამ სიტყვებით მომმართა: „მე შევიტყე, რომ თქვენ რაღაც ნაწერები გქონიათ და, თუ შეიძლება, მიჩვენეთ"... შემრცხვა, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ...

მქონდა, მართალია, ერთი სქელი რვეული, რომელიც შეიცავდა ჩემს ბავშვურ ნაცოდილარებს; ვმალავდი, მაგრამ, ეჭვი არ არის, ვ. ბაგინოვმა სადმე თვალი მოჰკრა, გადიკითხა და ვ. გუნიას უთხრა ამაზედ.

ვყოყმანობდი, ვერ გადამეწყვიტნა, — მეჩვენებინა ჩემი საიდუმლო რვეული, თუ არა, მაგრამ გამამხნევეს, მოკრძალება შემისუსტეს და... მეც რვეული გადავეცი ვალერიანს...

ვალიკომ თან წაიღო რვეული... ვიცოდი, რომ ის რედაქტორია (რამდენათაც მახსოვს, „თეატრსა" სცემდა მაშინ) და გულის ტოკვით ველოდდი მის კრიტიკას.

ერთი თუ ორი კვირის შემდეგ ვალიკომ დამიბარა თავისთან – რედაქციაში, რომელიც, თუ არ ვსცდები ოთავსებული იყო სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, ქართული თეატრის გვერდით.

მივედი. მაქო, გამამხნევა და დარიგება მომცა. „უნდა შეიმუშაოთ მხატვრული ენა: აი მე მოგცემთ ერთს რულს მოთხრობას და აბა გადათარგმნეთ", იქვე გადაშალა ერთი წიგნი და პირველი გვერდი თითონვე წაიკითხა. ცხოველად მახსოვს ეს სურათი: ახალგაზრდა მოხდენილი ვალიკო დგას სარედაქციო მაგიდასთან და არტისტიულად კითხულობს მხატვრულს ნაწარმოებს. მე სულგანაბული ვუსმენ...

დამავიწყდა სათაურიც და შინაარსიც ამ მოთხრობისა, მხოლოდ მახსოვს საუცხოოდ დასურათებული მოხუცი მეწისქვილე.

— ხედავ, რა ცოცხლათ არის დასურათებული მოხუცი! აი ეცადეთ, რომ ქართულადაც ესე ცხოველად ესე სიტყვა კაზმულათ გადმოგვცეთ ესევე სურათი. გაფრთხილდით, ეცადეთ, რომ ენა იყოს წმინდა, ბუნებრივი ქართული, თორემ გამოვა ნათრევი და არა ნათარგმნი! მხატრულ ნაწარმოებში უმთავრესია ხატება და, თუ ამ მხრივ ნაწარმოები სუსტია, ვერავითარი შინაარსი ვერ იხსნის მას უბადრუკობისგან!.. თქვენი რვეულიდან კი ჩვენს ჟურნალში დავბეჭდავთ ერთს მოთხრობას...

. გული ამიკანკალდა.... განა ვიოცნებებდი ასეთს ბედნიერობაზედ! ხუთმეტი წლისას მიბეჭდავდენ ჟურნალში მოთხრობას!.. პირგამშრალი, გაოცებული შევსცქეროდი ვალიკოს... ეჭვი არ არის, შემამჩნია აღელვება და თავისებური ღიმილით თავზედ ალერსიანად ხელი გადამისვა.

როგორ დავბრუნდი სახლში, რას ვგრძნობდი,— არაფერი არ მახსოვს; მსოლოდ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ჩემი სიცოცხლის ერთი ნეტარ წამთაგანი...

ეს იყო ამ ოცდა თორმეტი წლის წინად, როდესაც ვალიკო იყო სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცი. მეკი ხუთმეტი წლის ბიჭი... ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ... დღეს ორთავენი –მასწავლებელიც და მოწაფეც— გათეთრებულები ვართ... ჩვენი გრძნობა ისე აღარ სჭრის, როგორც მაშინ... ჩვენი ფიქრი ისე არაა გალაღებული

ახალგაზრდობის შუქით, როგორც მაშინ... ხალხის „ვაშა“ ისე აღარ გვაღელვებს, როგორც მაშინ.... მძიმე ცხოვრებამ ორთავეზედ გადიარა,—ბევრი რამ გვასწავლა, ბევრი რამ გვაგრძნობინა...

და დღეს მე—მოწაფე სიყვარულით ვკითხავ მას: „ვალიკო! 21—22 წლის ყმაწვილმა სიდგან იცოდი ისე კარგად, თუ რა არის ხელოვნება, მშვენიერება?! იცოდი მაშინ—ოცდა ათი წლის წინად,—იცოდი ის საიდუმლეობა, რომელიც დღესაც კი სანთლით საძებნია ჩვენს კრიტიკაში!.. ან ვინ გაძალადებდა, ვალიკო, გაჰქცეულიყავ ვიღაც პატარა ბიჭთან, დაკვირვებით გადაგეკითხნა მისი ნაჯღაბნები, მიგეწვია შენთან, მთელი ლექცია წაგეკითხნა ხელოვნებაზედ და ისე ალერსიანად თავზედ ხელი გადაგესვა?!. რა გრჯიდა? განა ცხოვრებამ შენც ესე ალერსიანათ გაგამხნევა და სამშობლოს საქმისთვის ესე შეგიწყო ხელი?

მერწმუნე, ძვირფასო, ვალიკო: აი—ვათავებ ამ პატარა მოგონებას შენს მშვენიერს წარსულზედ და აღტაცების ცრემლები მცვივა ჭაღარა ულვაშებზედ...

ნ. შიუკაშვილი.

სტრიაპჩი ხარიტონ ფილიპიჩ—ვ. გუნია.
(„დავ“)

1900 წ.

გმირი

ვ. გუნიას.

შენ ამბობდი: „კმარა, დედი!
ნუ მიშლი და ნუღა სტირი,
სხვაგან მიწვევს ჩემი ბედი,
მიწვევს ქვეყნის გასაჭირი“.
დედა შენი—„შვილო, დადექ...“
მოგტიროდა უკან შენა,
დიდების გზას შენ დაადექ
და გასწიე იმისკენა.
შენ მოსხლიტე შენი რაში,
კვლავ შეჰკივლე—„კმარა, დედი“!—
ღრუბლის გროვა დუღდა ცაში,
ზვირთაობდა ქედზე ქედი.

* * *

ქედი იგი გადალახე,
გადალახე ხრამი, ხევი,
ხშირად სჩანდა შენი სახე,
კლდის ნაპრალზე მონაქცევი;
ზუზუნებდა ირგვლივ ბლომად
შურდული და ისრის პირი,
გყავდა მტრები, ჰქონდათ დრო მათ,
შეტაკება შენთან ხშირი;
იყო ბრძოლა, იყო შიში,
რაშსაც მუხლი მოეკვეთა...
აწ ვინ მისცეს ანგარიში
მშუხარების წამთ და დღეთა?!

* * *

დრო გავიდა, სავსე ვნებით,
უკან დარჩა ბრძოლის ველი,
და ჰა, ეხლა გვირგვინებით
ამართულა ბლომად ხელი;
ეხლა შენ ხარ დიდებაში,
მას შეჰხარი მისი მონა,
შურდულის წილ ისმის ტაში,
იფანტება ვარდის კონა,
ვაშა! ვაშა! კაცით, ქალით
გაჭედილა ქუჩა, ბანი...
ვის არ დასწვამს წმიდა ალით
გმირის ძველი ჭრილობანი?!

გიორგი გვაზავა.



1903 წ. 1901 წ.

„უნცროსმან ძმამან შორი შორს
სალამი დაგიყეფეთ!“
შოთა.

ვალიკო! ცხოვრების მიზანია—ერთი წუთი ბედნიერებისა და ადამიანიც მთელი სიცოცხლე ამ წუთისათვის ემზადება, მისკენ მიისწრაფვის.

როცა ადამიანს ღმერთი გაუწყრება, იგი მაგ პირადი კეთილდღეობის წალკოტიდან განდევნის და ასე დასწყევლის: „ქართველი მოღვაწე გახდიო“.

ოთარბეგი—ვ. გუნია.
(,,ღალატი'').

იმ დღიდან, რაც სამოთხიდან განდევნილმა ცხოვრების მიზნათ სამშობლოს სამსახური დაისახე—ბასრი ცელით ხელში ჰკიფავდი ეკალ-ნარს, ანგრევდი ცხოვრებისაგან ამართულ დაბრკოლებათა ყორეს და მიისწრაფოდი „ბედნიერ წუთისაკენ“.

რამდენჯერ ეკლის მოსაჭრელათ შენგნით მოქნეული ცელი ისევ შენვე მოგხვედრია და გაუკაწრავს შენი შუბლი!

რამდენჯერ დანგრეულ ყორედან ანატკეცი ქვა შენვე დაგცემია, მაგრამ წარბ შეუხრელი, შეუდრეკელი, ძლიერი ვით მუხა, მტკიცე ნაბიჯით მიდიოდი წინ. მხოლოდ განაკაწრიდან გადმონადენი სისხლის წვეთი თუ ამცნევდა შენს მახლობელს შენს ტკივილებს...

მიდიოდი წინ, ამაყი და მხნე იმ შეგნებით, რომ სამშობლოს წინაშე შენს მოვალეობას პირნათლად ასრულებდი და სრული დარწმუნებული, რომ შრომის ჯილდოთ „ერთ წუთს ბედნიერებისას“ განიცდიდი.

და მიახწიე კიდეც მიზანს!

დღეს განხორციელდა შენი ოცნება!

თავისუფალი საქართველო თავისუფლად გამოსთქვამს თავის გულის ნადებს!

ქართველი ხალხი ფეხ-და-ფეხ მოგდევდა და ყოველ? შენს ნაბიჯს, სიტყვას—გულის ფიცარზე იწერდა. ხალხიც ემზადებოდა ამ წუთისათვის; და აი, როდესაც მას გულის ფიცარი სრულიად აევსო შენი მოღვაწეობის მოთხრობით, იგი შემოკრბა შენს გარშემო და თაყვანი გცა. ქართველის გულში შენდამი მადლობის გრძნობამ დღეს იფეთქა, იგი სტყორცნა შენს დაავადებულ სხეულს და გაათბო სასიცოცხლოთ.

ბევრჯეველ გაჭივრებისაგან შენი დაღმეჭილი სახის შეხედვით ქართველს თვალები ცრემლით ავსებია, მაგრამ იგი ამ ცრემლს შენ არ გაჩვენებდა. მან იგი წვეთ-წვეთად მოაგროვა, შენდამი სიყვარულის გრძნობით გაამაგრა, განამტკიცა, აასხა კრიალოსნად და ჩამოგკიდა მხნე გულზე.

დიდია შენი ღვაწლი—დიდია ჯილდოც!

დღეს ქართველმა ხალხმა შენდამი მადლობის გრძნობა აიაზმად გამოსწურა, ნაზის ხელებით ჩამოგრეცხა დაღარულ შუბლიდან სისხლის წვეთები, მოგწმინდა ოფლი სამშობლოს სამსახურში გადმონადენი და თეთრად შეეერცხლილი თავი შეგიმკო დაფნის გვირგვინით!

1913 წ.

დაუფასებელია შენი შრომა,—ძვირია დაფნის გვირგვინიც!

ქართველმა ხალხმა იცის თავისი მოღვაწის დაფასება.

მან მოგიწყო ის, რაც შეეძლო და ამ საწყაულში ჩაანთხია თვისი წრფელი მადლობა და სიყვარული.

სამაგიეროს აღარას გთხოვს!

მან იცის, რომ საქართველოში საზოგადო ასპარეზზე 35 წლის დაუღალავი შრომა ადამიანში აღარას სტოვებს, გარდა გამოფიტულ სიცოცხლისა.

ქართველი ხალხი გთხოვს - ეს სიცოცხლე შეუნახო და ჰყავდე მას, ვით სიმბოლო გულწრფელის მუშაკისა.

ვალ. შალიკაშვილი.

1896 წ. „ცნობის ფურცლის“ დაარსების დროს.

შვარცე—ვ. გუნია
,,მშობლიურ პერ ქვეშ''.

მარშალი ლეფევრი—ვ. გუნია.
,,მადამ სან ჟენი''.

ვალერიან გუნიას

ყველა ყვავილებს ჩემის ქვეყნისას
შეეკრავდი ტურფა თაიგულათა,
მოვიტაცებდი სამკაულს ცისას,
გადვიქცეოდი ნაკადულათა.
ყოველსა მხარეს ჩამოურბენდი,
მდინარეს, ხმელეთს, მთასა და ბარსა,
და ყვავილების კოშკს ავაგებდი,
ყველას ვასმენდი ქებისა ჩანგსა.
ყვავილთ ღეროზე ნაკადის მარცვლებს
მარგალიტებათ ჩამოვკიდებდი,
თან გიმღერებდი საამო ჰანგებს,
ცის სამკაულის სხივს მოგაფენდი...
მაგრამ არა, ძმავ, არა, არა მსურს,
შენს უკვდავებას შეურთო ქება,
ქება სპირია მხოლოდ უსუსურს,
შენს უკვდავ სახელს მხოლოდ დიდება!..

დარია ახვლედიანისა.



არჩილ ლომაური—ვ. გუნია.
,,მეგობრობა''

ახლო წარსულიდგან

ძმაო სოფრომ! ვასრულებ შენს დავალებას და გიგზავნი ჩემს მოგონებას ვალიკო გუნიაზე ისე, როგორც მახსოვს და მაგონდება, თანდათან წლიდან წლობამდე. ვალიკოს ნიჭისა და მოღვაწეობის დაფასებას ვეღარ ვკისრულობ, ეგ უფრო თქვენი—ნაფიცი მწერლების საქმეა.

ვალიკო გუნიას პატარაობიდანვე ვიცნობდი. ჯერ ისევ რეალურ გიმნაზიაში სწავლობდა, როდესაც იგი ჩვენს ყურადღებას იპყრობდა, რადგან დიდი ნიჭი ჰქონდა მხატვრობისა. ეხლაც მახსოვს მისი ბავშვობის ნახატები—ცხოველი და მკაფიო ფანქარით და ნახშირით. ასე წარმოიდგინე, ბავშობისას, როცა მამა მისი ეკლესიაში წაიყვანდა ხოლმე ვინც მოხვდებოდა, თუ კი თეთრი ტანსაცმელი ეცვა, მიეპარებოდა და ზურგზე რასმე დაუხატავდა. ბევრი მათრახი მოხვედრია პატარა ვალიკოს თავის მხატვრობისათვის. არა ერთხელ გამიგონია მისი ამხანაგებისგან, რომ ეხლანდელი ცნობილი მხატვრები გ. გაბაშვილი და ო. შმერლინგი—მისი ყოფილი ამხანაგები რეალურ სასწავლებელში, ვალიკოზე გაცილებით ნაკლებ ყურადღებას იქცევდნენ მხატვრობაში და რომ მამას ხელი შეეწყო, ეხლა ვალიკო გამოჩენილი მხატვარი იქნებოდაო; მამა ძრიელ ეწინააღმდეგებოდა თურმე შვილი ბუნებრივ მისწრაფებას—აბა რა ოხრათ მინდა „მალიარი" შვილი მყავდესო.... ჩვენში მრავალი ნიჭი ჩამქრალია უპატრონობისა და გაუგებრობისგან.

ვ. გუნიას პატარაობიდანვე ეტყობოდა რაღაც არა ჩვეულებრივი და ბავშვისათვის შეუფერებელი ხასიათის სიმტკიცე, გამბედაობა და შრომის უნარი. მეტის მეტად თავის ნება ყმაწვილი იყო. იქნება ბევრს ეუცხოვოს, მაგრამ გამოვტყდები და ვიტყვი არა ვალიკოს გასაწითლებლად, არამედ წინანდელი უკულმართი სწავლა-განათლების დასახასიათებლად, რომ პატარა ვალიკომ სრულებით არ იცოდა ქართული წერა-კითხვა და მთლად „გაპარუსკებული" იყო. როდესაც ერთხელ ჩვენ ვუსაყვედურეთ მშობლიური ენის უცოდინარობა და გადაგვარება"—გაწითლდა, გაფითრდა, გაყვითლდა და მთელი ორი კვირა თვალითაც არ დაგვნახვებია. ჩვენ გვეგონა—ალბად შემოგვწყრა და ვწუხდით ნიჭიერი ყმაწვილის გამოთიშვას ჩვენის წრიდან, მაგრამ ორი კვირის შემდეგ ვალიკო ჩვენსა შემოვიდა პირზე ღიმ მოსული, ხმა ამოუღებლივ გადაგვიშალა „ვეფხის ტყაოსანი" დ ჩუბინაშვილის გამოცემული და ხმა მაღლა დაიწყო უკვდავი ლექსების კითხვა... დიდი ნებისყოფის პატრონი იყო ჩვენი ვალიკო.

თფილისში რომ ჩამოიყვანა მამამ, ვალიკო მიაბარა ერთს გერმანელის ოჯახში, მაგრამ უკვე 1878 წლიდან ვალიკო დასახლდა თარხნიშვილის ოჯახში და იმათ გავ-

სერგეი ხმარინ—ვ. გუნია
,,გაზაფხულის ღვარი''.

1912 წ.

ლენით უფრო შეითვისა ქართული მწერლობა. იმ ხანებში ძრიელ იყო გავრცელებული ინტელიგენტურ წრეებში კონსპირატიული კრებები და პატარა ვალიკო ახლო მონაწილეობას ღებულობდა „ნაროდნიკების“ (ესერების) პროპაგანდაში. მახსოვს, რომ მისთვის „პატარა კაცისთვის“ არა ერთხელ დაუვალებიათ „პატარა საქმის“ გაკეთება.

ქართული თეატრი და სცენა ახლად დაარსებული იყო, მეც იქ ვიყავი, როგორც სცენარიუსი, და ვალიკოც სხვა შეგირდებთან ერთად აღტაცებული შეჰხაროდა ეროვნულ ხელოვნებას. არასოდეს არ დამავიწყდება, თუ რა დიდი ზედგავლენა მოახდინა მაშინდელ ახალგაზრდობაზე და ნამეტნავად ვალიკოზე „სამშობლოს“ წარმოდგენამ. ვალიკო ერთი კვირა ავათ იყო პირველ წარმოდგენისაგან და სულ „სამშობლოს“ ჰბოდავდა. ეს იყო 1881 წელს. სწორედ მაშინ დაარსდა მოწაფეთა შორის პირველი ეროვნული ჯგუფები. ერთს წრეში გაჩაღებული იყო მეტად ნაყოფიერი მეცადინეობა და მუშაობა, სხვათა შორისა ჰქონდათ თავიანთი საკუთარი ხელთნაწერი ჟურნალი. ამ წრეში იყვნენ სერგო ბახტაძე, კოწია ნიკოლაძე, ვალიკო გუნია, ვანო მაჭავარიანი, კოტე ბეზირგანიშვილი და სხ.

1 მარტს 1881 წელს რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრე მეორე რომ მოჰკლეს რევოლიუციონერებმა, კონსპირატიულმა ახალგაზრდობამ ეს დღე დღესასწაულად მიიჩნია და ერთმა ჯგუფმა მარტის დამლევს დიდუბეში (მაშინ ეხლანდელი ეკლესიის მაგიერ ნანგრევები ღა იყო) გამართა „შესანდობელი ქელეხი“, რა თქმა უნდა, იქ პატარა ვალიკოც ერია. „რეჩი“ მაშინათვე ემარჯვებოდა.. მთავრობამ „აიგო ყველა „მოქელეხეთა“ ვინაობა და სხვებთან ერთად ჩვენი ვალიკო გიმნაზიიდან დაითხოვეს...

იმავე წელს, ზაფხულში, ვალიკო ატიკო ფირალოვთან ერთად გაემგზავრა მოსკოვს. გზის ფული ამხანაგებმა შეუგროვეს. მოსკოვიდან ვალიკო წერილებით მატყობინებდა თავის თავგადასავალს, გაჭირვებას, მეცადინეობას, რუსულ თეატრსა და სცენასთან დაახლოვებას. სხვათა შორის მწერდა საიმპერატორო პატარა თეატრში მიიღეს ქართველი კაცი, ალექსანდრე სუმბათაშვილიო და პირველად ჩაცკის როლში ვნახეო. მოსკოვშივე დაიწყო პიესების თარგმნა. იმპერატორი ალექსანდრე მესამეს ტახტის კურთხევის დროს დიდძალი „საეჭვო“ ახალგაზრდობა გამოდევნეს მოსკოვიდან და ვალიკოც არ ასცდა ამ ძალად მოგზაურობას... სხვათა შორის ჩამოსვლისას მიამბო, რომ ისე მოწადინებული იყვნენ ჩემს გამოგზავნას, რომ მოსკოვის გრადონაჩალნიკმა სამგზავრო ბილეთიც კი მუქთათ მომცა როსტოვამდეო...

მოსკოვიდან ჩამოსვლისას ვალიკო დაუახლოვდა ვასო

მარშალი ლეფეური—ვ. გუნია
„მადამ სენ ჟენ“.

ROLI—უკანასკნელი სცენა. ამ როლში ქართული თეატრის ყოფილმა რეჟისორმა მიხეილ ბებუთაშვილმაც ნახა და ძრიელ მოიწონა და დიდი მომავალიც უწინასწარმეტყველა. მახსოვს აგრეთვე აწ განსვენებული ვასო ჩერქეზიშვილის რეცენზია „კავკაზში“, რომელიც საზოგადოების ყურადღებას მიაქცევდა ვალიკო გუნიაზე. მართლაც ვანო მაჩაბელმა, ალექსანდრე მირზაშვილმა და სხვებმა განიზრახეს ვალიკო გუნიას საზღვარ გარედ გაგზავნა სასცენო ხელოვნების შესასწავლად, მაგრამ ეგ განზრახვა ჩვეულებრივად დამთავრდა—ვალიკო არსად არ გაუგზავნიათ, მაგრამ ადგილი კი მისცეს სათავად-აზნაურო ბანკში და მით გამუდმებულ სიმშილს გადაარჩინეს. იმ დღიდან ვალიკო არ შეჭლევია სცენაზე ეუშაობას, როგორც მსახიობი, ადმინისტრატორი, რეჟისორი, ავტორი და დრამატურღი და როგორც თეატრის ხელმძღვანელი და მისი ბედ-იდბლის გამგებელი...

ვალიკომ პატარაობიდანვე მაგრათ მოსჭიდა კალამს ხელი და დღემდე არ დაუგდია. ჯერ ისევ 1984 წ. გიგა ყიფშაძის ხელმძღვანელობით ჟურნალ „იეერიაში“ დაიბეჭდა ვალიკოს ისტორიული მოთხრობა „კნეინა ნექტრინა“ (მარინე) და წერილები ვოლტერზე. ამავე წელს

სოლეიმანი—ვ. გუნია.
„ლალატი“.

აბაშიძეს. ალ. ყაზბეგს, ლადო მესხიშვილს და კ. მესხს. ამ უკანასკნელს თავის პიესებსაც უკითხავდა. მეტად ხშირი სტუმრები იყვნენ კულისებისა ვალიკო და მისი სიყმის მეგობარი კოლა ერისთავი, რომელმაც, თუ არა ვცდები, პირველად გოგოს როლი ითამაშა ქართულს სცენაზე. იმხანებში შესდგა პატარა წრე ყმაწვილებისა, რომელნიც კუკიაში გორობცოვის სახლებში ქართულ სახალხო წარმოდგენებს ჰმართავდნენ. ამ წრეში იყვნენ კოლა ერისთავი, დათიკო აწყურელი, ვალიკო გუნია, თამარ კეზელი, ვანო ჯაჯანაშვილი და სხ.

კარგად არ მახსოვს, 1882 წლის დამლეგს თუ 1883 წლის დასაწყისში ვ. გუნია და დ. აწყურელი (გამყრელიძე) პირველად გამოვიდნენ ქართულ სცენაზე ვასო აბაშიძის ხელმძღვანელობით. კარგათ მახსოვს მათი პირველი დებიუტი. აწყურელმა დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში, ისე საოცრად ჰბაძავდა ვასო აბაშიძეს' ვალიკომ კი თავი იჩინა თავის ტემპერამენტით და ხმით_ სხვათა შორის წარმოდგენას დაესწრო ვალიკოს ისტორიის მასწავლებელი ვლადიმერ მიქელაძე და სხვები, რომელნიც ორთავე დებიუტანტებს კარგს მემრისს უქადნენ. შემდეგ ვალიკომ ითამაშა „ყაჩაღებში“ ფრანც მოორის



1908 წ, 1909 წ.

შესდგა აღ. ნებიერიძის ანტრეპრიზა საქმე ვრცლად იყო დაყენებული, მაგრამ უხეიროდ დამთავრდა. გაფუჭებული საქმის გამობრუნებას ვალიკო ჩაუდგა; შესდგა ამხანაგობა, რომელსაც ვალიკო მეთაურობდა. ამ ხანებში დაიდგა ვალიკოს პიესა „კაკო ყაჩაღი" და სთარგმნა შექსპირის „ოტელო" ჩემისა და ვანო ჯაჯანაშვილის დახმარებით. ამ თარგმანით ცხონებული კოტე მესხი ხშირად თამაშობდა ოტელოს.

შემდეგ წელიწადში ვასო აბაშიძემ თავისი ჟურნალი „თეატრი" გადასცა ვალიკოს, რომელსაც იგი ბარემ ერთი წელიწადი უძღვებოდა, მაგრამ წელში ვერ გაიმართა, რადგან მაშინდელი ცენზორი ლუკა ისარლიშვილი ყოველისფერს ცხოველს და ეროვნულს აღრჩობდა. ვალიკომ „თეატრის" გარშემო შეკრიბა ახალგაზრდობა, სხვათა შორის ვალიკოს დროს „თეატრში" დაიბეჭდა შექსპირის „ჰამლეტი", ლექსად ნათარგმნი ვანო მაჩაბლის მიერ. ეს პიესა ვალიკომ ცალკე წიგნადაც გამოსცა. ვანო მაჩაბელს ხშირად უთქვამს—ვალ. გუნიამ წამახალისა მეთარგმნა შექსპირიო, რადგან „მეფე ლირის" შემდეგ მთელი ათი-თორმეტი წელიწადი მივიწვებული მქონდა შექსპირი და თარგმნის სურვილი ვალიკომ განმიცხოველაო.

საზოგადოდ უნდა ავღნიშნო, რომ ვალიკოს ერთი საოცარი თვისება ჰქონდა თანდაყოლილი: ადვილად აიყოლიებდა კაცს, რაც გინდ მძიმე საქმე ყოფილიყო, ინტერეს უცხოველებდა და ახალისებდა ყველას, ვისაც კი შეატყობდა, რომ მისგან „ზეთის გამოდენა" შეიძლებოდა. კაცს ყველაფერს უადვილებდა, არწმუნებდა განზრახულის ადვილად მიღწევას, რა თქმა უნდა, გამუდმებული შრომისა და გარჯის საშუალებით. ვალიკოს არ სწამდა სიტყვა შეუძლებელია; ოღონდ კაცმა ძლიერ მოინდომოს თორემ მთვარეზედაც ავაო, ხშირად იტყოდა ხოლმე... ამასთანავე ეშვიათს გულწრფელობას იჩენდა—სხვისი გამარჯვება და წარმატება ისე უხაროდა, როგორც საკუთარი. ყველამ უწყის, რომ თეატრი და სცენა შურისა და მტრობის მორევია, მაგრამ ვალიკოზე ვერვინ იტყვის, რომ მას ვისიმე წარმატება შეშურებოდეს, პირ იქით ყოველს გამარჯვებულს „პირველი უკრავდა ხოლმე ტაშს და აღტაცებულის ამბორით ამხნევებდა დიდს თუ პატარას... ამ შემთხვევაში ჩვენი სცენის მოთამაშეთა შორის ვალიკოსთანა მე არავინ მეგულება

ილია ჭავჭავაძემ 1886 წელს რომ ყოველდღიური გაზეთი „ივერია" გამოსცა, ვალიკოც მიიწვია, რადგან უკვე ბანკიდან იცნობდა მას და ამის შემდეგ დაიახლოვა იგი. გაზეთში იბეჭდებოდა ვალიკოს რეცენზიები, რომელნიც დიდს შეაბეჭდილებას ახდენდნენ მკითხველებზე და ნამეტნავად მსახიობებზე. ისეთი სწორი, მიუდგომელი და მართებული რეცენზიები ქართულ ენაზე დიახაც იშვიათი იყო. შემდეგ წელიწადში გამოსცა გრიგოლ ჩარკვიანის დახმარებით „საქართველოს კალენდარი", რამაც დიდი სამსახური გაუწია საშუალო მკითხველებს, განსაკუთრებით დაბა-სოფლებში, სადაც დიდი გისავალი ჰქონდა. გუნიას კალენდრებს დღესაც წაკითხულობს ხალხი.

1889 წელს, როცა შესრულდა ქართული სამუდამო სცენის ათი წლის თავი, ვალიკომ შეადგინა ქართული თეატრისა და სცენის ისტორია, რომლისათვის მასალებს მე და ვასო აბაშიძე ვაძლევდიო. ეგ ისტორია ვალიკომ ერთს თვეში დასწერა და გ ჩარკვიანმა კიდევ ორ კვირაში დაუბეჭდა. იმ ორ თვეში ვალიკო დღეში სულ უკანასკნელი თვრამეტს საათს მუშაობდა!..

საკვირველი იყო, რომ ვალიკო ერთსა და იმავე დროს ყველაფერს ასწრობდა—სცენაზე თამაშს, გაზეთებში წერას, თავის გამოცემითა გაძღოლას, თეატრის ადმინისტრატორობას და რეჟისორობას, ბანკში სამსახურს, სა-

მეფე ლირი—ვ. გუნია. მეფე „ლირი“.

ზოგადოებაში ტრიალს, თავდავიწყებულ ქეიფს და სისტემატიურ თვითგანვითარებას—მას არ გამოეპარებოდა არც ერთი საინტერესო წერილი რუსულ თუ ქართულ ჟურნალ-გაზეთებიდან და მთელი თვისი მცირე ჯამაგირი წიგნების შეძენაზე ეხარჯებოდა მე ძლიერ დაახლოებული ვიყავი ვალიკოსთან და პირ მოუთმენლად უნდა ვაღიარო, რომ ჩვენს მრავალ რიცხოვან ახალგაზდებში მისებური დაკვირვებული, დინჯი, მტკიცე მშრომელი, ერის სიყვარულით აღტაცებული და მრავალფეროვანი მუშაკის მნახველი არა ვარ.

არ დამავიწყდება არასოდეს ვალიკოსა და რაფიელ ერისთავის დამოკიდებულება, როცა ეს უკანასკნელი ცენზორათ იყო. რაფიელს შვილივით უყვარდა და ვალიკო კიდევ აღმერთებდა „ტეტიათა მგოსანს“. რაფიელი უსწორებდა ვალიკოს წერილებს და პიესებს და ხშირად ორნი ერთად ნადიმობდნენ და ქეიფობდნენ. საზოგადოდ ვალიკო შეუდარებელი იყო სუფრაზე თამადობაში და მხიარულობაში ტოლი არ ყვანდა.

1896 წ. ვალიკომ დაარსა სახალხო გაზეთი „ცნობის ფურცელი“, რომელმაც, როგორც ყველამ ვუწყით, დიდი სამსახური გიუწია ჩვენს საზოგადოებას. ვალიკომ ამ გაზეთს შეალია მთელი საცხოვრებელი თავის ცოლისა. მერე გაზეთი გადასცა ერთ პროგრესიულ ჯგუფს. არ გაუვლია დიდ ხანს და ვალიკო ჩაება სულით და ხორცით ერთ დიდს ეროვნულსა ოა პოლიტიკურს საქმეში, რომლის ბელადად თუმცა არ იყო, მაგრამ ერთგული და მტკიცე ჯარისკაცად და მუშაკად კი ითვლებოდა. ვალიკო არჩილ ჯორჯაძისა, გ. დეკანოზიშვილისა და სხვათა მარჯვენა ხელი იყო. თფილისში და პროვინციაში ფედერალისტების ლიტერატურას ვალიკო ავრცელებდა ჩვეულებრივის სიმტკიცით და გაბედულობით.

ვალიკო რუსულადაც სწერდა და ბევრსაც. იგი მონაწილეობას ღებულობდა ვლიჩკოს გაზ. „კავკაზში“ და მისმა წერილებმა და ფელეტონებმა სომხის პლუტოკრატიისა და სოლოლაკელთა „უმამულო პატრიოტების“ წინააღმდეგ დიდი ალიაქოოი და აურზაური გამოიწვია. ილიას „ქვათა ღაღადი“ ერთის მხრივ შედეგი იყო მაშინდელი ვალიკოს და ველიჩკოს პოლემიკისა სომხის მებრძოლ ბურჟუაზიასთან. დიდი მეგობრები იყვნენ ვალიკო და ველიჩკო, მაგრამ გაუგო თუ არა ვალიკომ თავის მეგობარს ვერაგობა—რუსების გადმოსახლება საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინათვე ყოველივე კავშირი გასწყვიტა მასთან, თუმცა მისი უფროსნი ცხონებული ილია, სარაჯიშვილი, ცხვედაძე, გოგებაშვილი და სხვანი კიდევ განაგრძობდნენ ველიჩკოსთან კავშირს, სანამ გოლიცინმა არ განაძევა ველიჩკო კავკასიიდან პირადი შეურაცხყოფისათვის.

როცა ჩვენში თავი ივინა დასელების ცალმხრიობამ, დიქტატორულმა მისწრმფებამ და სხვა სივაგლახემ ვალიკო გუნია მთელის თავის შეუპოვარის ბუნებით წინააღუდგა მათ. მეტადრე ილია ჭავჭავაძის მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ და ყველამ ვუწყით, თუ რა დიდი აურზაური, შფოთი და გმინვა გამოიწვია გუნიას „ნიშადურმა“. საზოგადოდ ვალიკოს ბუნებაში, მის ხასიათსა და ფსიხიკაში დიდი ნაწილი ურევია მებრძოლის და შეუპოვარი მოლაშქრე-მოქალაქისა.

მე არ ჩამოვთვლი ვალ. გუნიას პიესებს, რომელნიც ამ 30 წლის განმ ვლობაში ისე თვალსაჩინოდ ხელს უწყობდნენ ქართული ხელოვნების გავრცელებას საქართველოს ყველა კუთხეში—დაბა-სოფლებში და ქალაქებში მეტათ ბევრია მათში ღირს შესანიშნავი აზრით და შინაარსით პიესები, ისტორიულნი და თანამედროვენი, რომელთა რიცხვი გაცილებით მეტია ვიდრე თვითონ ვალიკოს წელთა სიმრავლე.

და მიუხედავად ყოველივე ამისა, მიუხედავათ ხანგრძლივი და თავგამოდებული შრომისა ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ, ვალიკოს დღემღე ვერ დაუხწევია თავი უკიდურესი გაჭირვებიდან. აკი მოგახსენეთ, პატარაობიდანვე ვიცნობდი მეთქი და პატარაობიდანვე გაჭირვებას და უმწეობას მძლავრად ჰქონდა ჩაჭიდული ხელი ვალიკოს ლამაზი ქოჩრისათვის. არ დავმალავ და ვიტყვი, რომ მე მრავალგზით მინახავს ვალიკო გუნია უჭმელ-უსმელი, ბნელსა და ცივ ოთახში, ჩაუცმელი და დაუხურავი, მაგრამ არა ადამიანისათვის არ გაუმხელია თავისი სიმწარე. ამხანაგებიც და მეგობრებიც ბევრი ჰყვანდა შეძლებულნი და ხელგაშლილნი, მაგრამ არას დროს სხვის ხელში არ ჩაუხედნია. პირიქით, რაც მეტი გაჭირვება ადგა, მით უფრო გარეგნულათ უდარდელი და გამარჯვების სურვალით და თან მხიარული იყო აღტყინებული.

სწორედ მიკვირს და გაოცებულსა ვარ, როგორ შეინარჩუნა ვალიკომ დღევანდლამდე ეგოდენი გულის სიმშვიდე, გრძნობის სიფაქიზე და ზღვა სიყვარული საზოგადოებისადმი სხვა მის ადგილას გამწარდებოდა, გაბორტდებოდა, უარს იტყოდა ყველაფერზე და გაიქცეოდაცხრა მთას იქით, როგორც ამას მრავალნი ჩადიან ხოლმე.

და აი ეხლაც მისი უკანასკნელი საბედისწერო ავადმყოფობის დროს, მადლიერი საზოგადოება რომ არ მიშველებოდა და რომ არ დახმარებოდა, თვითონაც ხომ გამოესალმებოდა ამ წუთი სოფელს და ცოლშვილიც სიმშილით ამოუწყდებოდა!

—

გეყო, ჩემო ვალიკო, გეყო, ჩემო ძველო მეგობარო, სხვებზე ფიქრი და ზრუნვა! მოისვენე! ეხლა მაინც ამ ადრეულ სიბერისა და დაუძლურების ჟამს შენს თავზედაც იფიქრე, თორემ ხომ იცი ქართული ანდაზა: „სხვების მაზიარებელი, მოკვდა უზიარებელიო“.

მოისვენე, ჩემო კარგო, ნუ შეოთავ და თავს გაუფთხილდი. ხომ მოესწარი შენს ტკბილს სიზრდების სიცხადეს, შენი ოცნებათა სინამდვილეს და შენი ნატვრათა ხორც-შესხმას—შენი მრავალ ტანჯულის ტურფა სამშობლოს ცის კაბადონზე თავისუფლების მზე აღმობრწყინდა. ბედნიერი ხარ, ყველაზედ უფრო ბედნიერი შენს ამხანაგებში, რომ ბედნიერი საქართველო ტაწის ცემით მიეგება შენს უანგარო და ვაჟკაცურ ბამულიშვილურს ჯნ წლის მოღვაწეობას.

ელენე ანტონოვსკისა.

გრაფი ტრასტი—ვ. გუნია,
„პატიოსნება“.

ს ო ნ ე ტ ი

(ვალ. გუნიას-- „ოთარბეგს-).

სიზმრად ვნახე ძლიერი ლომი,
კლდისა ნაპრალთან ამაყად მდგომი;

ფაფარს უშლიდა მას სიო მთისა,
მზე მის გულ-მკერდზე აკრთობდა სხივსა.
მის წინ თავს ჰხრიდნენ ყვავილნი ,ორდზე...
ია სინაზით ჩამოსწყდა ყლორტზე...
მას უმღეროდა ცელქი მდინარე,
მას ღამით გვირგვინს ადგამდა მთვარე!

და შენც ლომი ხარ ბუმბერაზი მთის!
მსურს გეაღერსო .. გული ჰღელავს, თრთის!
მინდა გვირგვინით შეგიმკო თავი!
ჩამოვიწყვიტო გულს ძაძა შავი...
სულის საუნჯევ! ოცნებობ მოგწვდე,—
თრთოლვით შენს გულზე დავემხო... მოვკვდე!

ბაბილინა.

1897 წ.

ვ. გუნია და ერთი სამარცხვინოჭიუბილე.

(მოგონება)

ვალიკოს იუბილემ ჩემში გამოიწვია ერთი მოგონება ერთობ სამარცხვინო იუბილეის გამო. 1901 წ. თავადაზნაურობამ სულისა და გულის აღტყინებით გამოაცხადა, რომ ენკენისთვის 1ბ.ს 1901 წ. გადახდილი იქნება ასის წლის თავის იუბილე რუსეთთან საქართველოს შეერთებისა. ამ ჩვენი გათახსირებისა, დამონებისა, მიწასთან გასწორების დღესასწაულს ბევრნი, როგორც მოგახსენეთ, აღტყინებით შეხვდნენ. ხომ მოგეხსენებათ, მონა შეცაცქანებით გამოელის ზვიადი ბატონისაგან სუფრაზე დარჩენილს ნახორხლებს, რომელსაც ბატონის ლაქია ხანდისხან ბატონის ძაღლებსაც არ აკადრებდა ხოლმე საჭმელად. საქართველო ძაძითა და თავზე ნაცრის დაყრით უნდა შეხვედრიყო თავისი უბედურობის ასის წლის თავსა. რა მოუტანა ამ ასმა წელიწადმა? უფლების აყრა, ენის მოგლეჯა, რომელსაც ამოგლეჯასთან „ძაღლის ენაც“ უწოდეს რუსის ექსარხოსებმა—პავლემ და ვლადიმერმა, ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობის გაუქმება, ჩვენი ზნეობითი სრული გახრწნა და სხვა. აი ამას დღესასწაულობდა ბეჩავი საქართველო, რომელიც უღირსს შვილთა ხელში საჯიჯგნათ გადაიქცა.

იმ ბედშავს დროს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღვრად ბრძანდებოდა თავადი დავით ზაქარიას ძე მელიქიშვილი. ამან წინადადება მისცა ყოველ ქართულ დაწესებულებებს აღენიშნათ რითიმე ეს ჩვენი სულისა და გულის დამაჩლუნგებელი, დამხშობელი ასის წლის მონობა. სხვათა შორის, ასეთი უსირცხვილო, ლირფული წინადადებით მიმართა ბატონმა მარშალმა ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობასაც და ქართულ დასსაც. მაშინ გამგეობის თავმჯდომარედ იყო ვასილ სულხანიშვილი, ვალიკო გუნიას თანაშეზრდილი ამხანაგი და მეგობარი. წევრებად პეტრე ყიფიანი, ნ. ქართველიშვილი, გ. დეკანოზიშვილი, ვალიკო გუნია, სხვათა შორის, ამ სტრიქონების დამწერი და სხვ. ამ წინადადებამ ძალიან გაგვაოცა. განსაკუთრებით იმოქმედა ვალიკოზე: თვალები აუბრიალდა, ყელში მოაწვა ბოლმა და სახე შეუწითლდა, ბოლმა აღჩობდა, მაგრამ მოიკრიბა ძალა და გულზე მოწოლილი ბოლმა ამოანთხია ისეთი ხმით, ისეთის ბრაზმორეული ცახცახით გასცა პასუხი წინამძღოლის მონურს მოთხოვნილებას, რომ წინადადების მომხრე წევრებს თავზარი დასცა. დასში ხომ მუდამ დიდი გავლენა ჰქონდა ვალიკოს და იქაც ჩაფუშა საქმე, თუმცა დისშიც იყვნენ სამარცხვინო იუბილეში მონაწილეობის მსურველნი... „ასი წლის განმავლობაში კისრად გვედო მონობის უღელი, შელახეს ყოველივე ჩვენი ღირსება, პატივი, თავმოყვარეობა, წაგვართვეს ენა, წაგვართვეს ეკლესია, შეგვიგინეს ზნეობა, რომლითაც თავი მოგვქონდა, სისხლად დაწრიტეს მთელი საქართველო, გაათახსირეს, გასრისეს, გააღარიბეს, თავს ლაფი დაგვასხეს და ასეთი ყოფა-უნდა ვიდღესასწაულოთ!! მელიქიშვილმა რომ გაბედა, თქვენ როგორ ათქმევინეთ თქვენს ენას ეს საქართველოს შეურაცხყოფა?—მიმართა ვალიკომ თავმჯდომარეს. ჩვენ მხარი მივეცით ვალიკოს, მონური მოთხოვნილება უარყაეთ და დემონსტრატიულად დავსტოვეთ დარბაზი. მეორე დღეს გამგეობის თავმჯდომარემ თავი დაანება დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრობასა.

ეს ფაქტი ვალიკოს ცხოვრებიდან ერთი დამამტკიცებელთაგანი საბუთია იმისი, რომ ვალიკო მუდამ კვალში უდგა ქართულს ცხოვრებას, გაფაციცებით თვალს ადევნებდა მის ავსა და კარგსა და მტკიცედ იცავდა მის უფლებებს, გულში მუდამ უღვიოდა ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა და იბრძოდა მისი კეთილდღეობისთვის. ბევრი მწარე წუთები გამოსცადა თვისი მოღვაწეობის ჟამსა თვით თვისთა მოძმეთაგან, მაგრამ დღემდე პირნათლად მოიტანა ანდერძი დ. გურამიშვილისა: „ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“. აი დღეს მწარის შემდეგ იგემა სამშობლო ერის მადლობა თვისი მოღვაწეობისათვის, იგემა უფრო დიდი რამ: სამშობლოს აღდგენა! აღდგენა ამ სამშობლოსი, რომლის გულისთვის სიმწარე და სამსალის ფიალა არა ერთხელ დაულევია.

ს. მგალობლიშვიდი.

ვ. აბაშიძე და ვალ. გუნია 1917 წ.

ვალ. გუნია და ვ. მესხიშვილი
1898 წ.

ვინ შეესძინა ვ. გუნიამ ქართულ სცენას.

ქართულ სცენაზე ეგრედ წოდებული გამოსაცდელი წარმოდგენები პირველად და პირველმა ვ. გუნიამ გამართა ამ 15—16 წლის წინედ. ამ გამოსაცდელ წარმოდგენებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. პირ-იქით, დღეს ქართულ სცენას ვ. გუნიას წყალობით ყვანან შემდეგი თვალსაჩინო მსახიობნი: ქ-ნი ნინა დავითაშვილი, მარო მდივანი, ოლა ლეჟავა, ბარბარე რონელი, ელო ანდრონიკაშვილი, მარუსია ვიქტორელი, ნინა თოიძე და სხ.

ბ-ნნი: ალექსანდრე იმედაშვილი, სოსო ივანიძე, ლევან მირიანაშვილი (გარდაიცვალა), ვიქტორ მატარაძე, კოლა გვარაძე, კ. ანდრონიკაშვილი, დათიკო ბაქრაძე (გარდაიცვალა), გომელაური, ფრანგიშვილი, თუხარელი და სხვ.

მოწაფე

ცოტა რამ სტატისტიკიდამ

ვ. გუნიას მიერ ნათამაშევი პიესები და როლები. ამ ოცდახუთმეტი წლის განმავლობაში ვალერიან გუნიას უთამაშნია და მონაწილეობა მიუღია სულ უკანასკნელი 1500 წარმოდგენაში; წელიწადში დაახლოვებით ზამთარზაფხულ უთამაშნია 50 ჯერ. უთამაშნია 370 სხვა და სხვა სახელისა და ხასიათის პიესები, ხოლო სხვა და სხვა როლების რაოდენობა აღემატება პიესების სიმრავლეს,— რადგან ზოგიერთ პიესებში უთამაშნია ხშირად ორი, სამი და ოთხი როლიც, რაიც დაახლოვებით უნდა უდრიდეს არა ნაკლებ 500 როლსა.

ვ. გუნიას პიესების სიმრავლე. 1882 წლიდან დღევანდელამდე ვ. გუნიას დაუწერია, გადმოუკეთებია და უთარგმნია სულ 65 პიესა; მათ შორის ნათარგმია 25 პიესა, ხოლო 40 ორგინალი და გადმოკეთებული 65 პიესაში დრამები 25, კომედები 20, ვოდეველებიც 20; ყველა ამ პიესების მოქმედებათა რაოდენობა შეადგენს 185 აქტს.

საავტორო სასყიდელი. გუნიას უცხოელებისა და რუსეთის მწერლებისავით საავტორო ჰონორარი რომ მიეღო წელიწადში სულ უკანასკნელს აიღებდა შვიდ რვაათას მანათს, მაგრამ გუნიას 35 წლის გამავლობაში შვიდი ათასი კაპიკიც არ ჰრგებია...

ვალიკო!

წუხელი გნახე სიზმარში,
ოფლსა და ხვითქში სცურავდი,
ხელში გეჭირა ფრანგული,
გაფითრებული ბრუნავდი.
სიკვდილს წინ ეგებებოდი,
თავს და ქედს არა ღუნავდი;
მტერს დაეძებდი, ქვეყნის მტერს,
კერძოდ არაზე ზრუნავდი.

ჩასაფრებული მტრის ტყვია
უჩინრად გეტანებოდა,
იცდენდა ჯაჭვის პერანგი,
მკერდამდის არა გწვდებოდა.
იდექი როგორც სალი კლდე,
მტერი ჯავრითა კვდებოდა,
ახჩობდა ბოლმა და სისხლი,
რაკი ვერასა ხდებოდა.

კიდევა სცადა,— ნასროლმა
ძაან შორს გადაიარა,
კაი ყმას, კაი ვაჟკაცსა
ცუდად არ დაგეზიარა.
შენგან ნასროლმა ტყვიამ კი
სწორედ პირდაპირ იარა,
მტერს მოხვდა მარცხნივ ძუძუში
და წასკდა სისხლის იარა.

და სთქვა: ახია ჩემზედა,
რაკი ლაჩრადა კვდებოდა,
მე კი ის ბაითალმანი
ძალიან მენანებოდა:
დე ყოფილიყო ამ სოფლად,
ეცოცხლა, ეღოღიალა,
რომ უფრო მეტი შაესვა
შურით აღვსილი ფიალა.

შიო მღვიმელი

ს. სიმონიძე, ვ. გუნია, და კ. შათირიშვილი 8195წ.



ვალ. გუნია და ვ. შალიკაშვილი 1915 წ.

მარიამ საფაროვი და ვალ. გუნია 1890 წ.

მეგობრული რჩევა.

ვალიკო!

არ დაგავიწყდეს სიზმარი, რომელიც შენი უკანასკნელი ნახვის დროს მიამბე... არავის გაჰყვე იქ.... თორემ იცი, როგორის ამბით გაგაცილებენ?. მტერიც კი ქება-დიდებით მოგიხსენიებს, სიტყვების ჭექა-ქუხილით... ბრალიანი და უბრალო გამოიჩენს მჭერმეტყველობის ნიჭს... შესძრავენ მთელს საქართველოს და მერე?.. შემდეგ დაგავიწყებენ, ჩემო ძმაო. .. გამაგრდი..., ყოჩაღათ იყავი.. გამოიჩინე სულის სიმტკიცე არა მარტო სიზმრად... იქ „იმ უცნობ ქვეყანაში“ ბევრნი არიან უსაქმოდ... აქ კი ცოტანი ღა დარჩნენ...

ეფ. მესხი.

ვ. გუნია, ვ. ურუშაძე დ ა. იმედაშვილი 1903 წ.

ნახული და გაგონილი

ვ. გუნიას პირველი დებიუტი. 1882 თუ 1883 წ, არ მახსოვს რომელ თვეში, ერთსა და იმავე საღამოს მოხდა პირველი გამოსვლა (დებიუტი) ქართულ სცენაზე ვ. გუნიასი და დ. აწყურელის—გამყრელიძისა (რომელმაც ამ რვა წლის წინად თელავში გადაიხადა კიდეც თავისი 25 წლის იუბილე).

ორივე ახალგაზდა, ჯერ უწვერ ულვაშო, დებიუტანტები ვასილ აბაშიძის ხელმძღვანელობით გამოდიოდნენ: ვ. გუნია—„მეფე და პოეტში“ პოეტ გრენგუარის როლს ასრულებდა, ხოლო დ. აწყურელი „მათიკოში“ ოსი[illegible]ს.

მსახიობნი და დებიუტანტები ყველანი მზათ არ[illegible] შესაფერ გრიმებსა და ტანსაცმელებში გამოწყობილნი

დაჰკრეს მესამე ზარი, აიხადა ფარდა და წარმოდგენაც დაიწყო. სცენაზე ალ. ყაზიბეგი (მეფე) და შიშნიაშვილი (ვაჭარი) დიალოგში არიან გართულნი.

ამ დროს ვ. აბაშიძესთან, რომელიც კულისებში დაფუსფუსებს, ქაქანით მოვარდება დ. აწყურელი და ზარდაცემული ეუბნება:

— ფარდა ჩამოუშვით!.. ვალიკო არ გამოდის!

ვ. აბაშიძეს ელდა ეცა.

— როგორ თუ აუ გამოდის? ხომ არ გაგიჟდა?!

— რა ვიცი. შეკრთა... რომ მომკლათ არ გამოვალო! მგონი ტანსაცმელს იხდის კიდეც...

ვ. აბაშიძე ბრაზ მორეული გაექანა საპირფარეშო ოთახში: იქ გაფითრებული ვალ. გუნია ატუზული ერთს კუთხეში და ისე აცახცახებს, თითქოს აციებსო.

— უკაცრაოდ, ვასო, თამაში არ შემიძლიან!.. შიშმა ამიტანა... მაკანკალებს... ფეხზე ძლივსღა ვსდგევარ!.. კრძალვით ეხვეწება თავგზა დაბნეული ვალიკო მრისხანე ვასოს.

— შენ გიჟი ხომ არა ხარ?! რა დროს შიში და უარია! წარმოდგენა უკვე დაიწყო... საცაა შენი გამოსვლაც მოაწევს... მე, ძმაო, გიჟი ჩემი თავიც მეჯავრება! გამოდი მალე!

— რა ვქნა, არ შემიძლიან!..

— არ შეგიძლიან? მაშ სკანდალი გინდა მომახვიო თავზე? აბა, თუ არ შეგიძლიან!.. მე შეგაძლებინებ, მე!!

Ე 132
1917

ვალ. გუნია ი.ავის ცოლშვილში 1917 წ.

დაიღრიალა აბაშიძემ. აბა, ბიჭებო, სტაცეთ ხელი და ძალით გაიყვანეთ სცენაზე!

გრენგუარი პიესით მართლაც ძალით შემოჰყავთ [illegible]ენაზე.

ჩვენს ვალიკოს მყისვე მივარდა ხუთი ყმაწვილი ჯა[illegible] [illegible] [illegible] [